

Naira Beridze

ნაირა ბერიძე

University of Georgia

საქართველოს უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

## The Main Themes and Issues of Contemporary Emigrant Poetry

თანამედროვე ემიგრანტული პოეზიის ძირითადი

თემატიკა და პრობლემატიკა

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10805>

Emigrant poetry represents a vital dimension of contemporary Georgian literature, flourishing in the twenty-first century amid globalization and migration. It reflects Georgian authors' spiritual experience in foreign spaces, marked by nostalgia, identity loss, and the will to preserve cultural memory. Lia Chiqovani's poetry exemplifies this trend, blending sorrow, faith, and hope into a universal human voice. For Chiqovani, the homeland is a spiritual foundation, and emigration – a path to self-discovery. Her emotionally charged verse transforms pain into energy, showing that through language and memory, emigrant poetry sustains identity and eternal love for one's homeland.

**Keywords:** emigrant poetry; identity; homeland; nostalgia

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტული პოეზია; იდენტობა; სამშობლო; ნოსტალგია

თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულება ემიგრანტული მწერლობაა, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა XXI საუკუნეში გლობალიზაციისა და მასობრივი მიგრაციის პროცესების შედეგად. ამ კულტურულ კონტექსტში ქართველ ავტორთა ნაწილი აღმოჩნდა უცხო სოციალურ და კულტურულ რეალობაში, რაც მათ შემოქმედებაში ახალი თემატური და ემოციური ხაზების წარმოქმნის მიზეზად იქცა.

ემიგრანტული ლიტერატურა მრავალფეროვანია როგორც ჟანრული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა, მასში იკვეთება საერთო ემოციურ-აზრობრივი კონცეპტები, რომელთა შორის დომინანტურია სამშობლოს ნოსტალგია, კულტურული მეხსიერების შენარჩუნების სურვილი და იდენტობის დაკარგვის შიში. აღნიშნული მოტივები ემიგრანტულ ტექსტებს საერთო სულიერ ნიადაგზე აერთიანებს და მათი კოლექტიური სივრცის ფორმირებას უწყობს ხელს.

პოეზია, როგორც ემოციისა და შინაგანი განცდების ყველაზე ინტენსიური გამოხატვის ფორმა, ემიგრანტული მწერლობის იმ განყოფილებად იქცა, სადაც უმძაფრესად აისახა დროისა და სივრცის დაკარგვის, გაუცხოების, პიროვნული ტრავმისა და სულიერი ძიების საკითხები. ემიგრანტი პოეტისთვის ტექსტის წერა არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ თერაპიული პროცესიც არის – ზნა საკუთარი ტკივილის, მეხსიერებისა და ეროვნული თვითშეგნების აღსადგენად.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლია ჩიქოვანის პოეზია, რომელიც ემიგრაციის თემის სიღრმისეულ მხატვრულ გააზრებას გვთავაზობს. მისი შემოქმედება გვიჩვენებს, რომ ემიგრაცია მხოლოდ გეოგრაფიული გადაადგილება არ არის; ეს არის შინაგანი ტრანსფორმაცია, კულ-

ტურული თვითიდენტობის შენარჩუნების მცდელობა და სულიერი წინააღმდეგობების გადალახვა უცხო გარემოში.

ჩიქოვანის ლექსებში მკაფიოდ იკვეთება ემიგრანტის შინაგანი ხმა, რომელშიც შერწყმულია სევდა, იმედი, რწმენა და სიყვარული – ემოციები, რომლებიც ემიგრანტული ყოფის ფსიქოლოგიურ არსს გამოხატავს. სწორედ ამ გრძნობათა სინთეზი ქმნის იმ სულიერ სივრცეს, რომელზეც ემიგრანტულ პოეზიაში პატრიოტული შეგრძნება იბადება.

პატრიოტიზმი, როგორც ემიგრანტული ლირიკის მახასიათებელი, ვლინდება სამშობლოსადმი სულიერ ერთგულებაში, დროისა და სივრცის ზღვრის გადალახვის სურვილში. ემიგრანტი პოეტი სამშობლოს არ განიცდის მხოლოდ როგორც ფიზიკურ ადგილს — იგი მას აღიქვამს შინაგან ფასეულობად, საკუთარი არსის განუყოფელ ნაწილად. ამ ცნობიერებისა და ემოციური ერთგულების გამოხატულებათა ლია ჩიქოვანის ლექსი „სამშობლოვ მრავალყამიერ“, სადაც პოეტი სამშობლოს სიყვარულს მარადიულ და უპირობო ფასეულობად წარმოსახავს.

„სადაც არ უნდა წავიდე,  
ვთელო ბალახი-ტალახი,  
მაინც სამშობლო მეძახის.  
მისი ველი და ქარააფი!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 78)

აქ სიტყვა „მეძახის“ მძლავრი ემოციური ცენტრი ხდება – პოეტი გრძნობს სამშობლოს უხილავ ხმას, რომელიც უცხო სივრცეშიც კი არ კარგავს ძალას.

შემდეგ სტრიქონებში ჩანს უცხო მიწის დროებითი ხიბლი: „თვალს გავაყოლებ წამიერ – მოვირბენ უცხო მდელოებს...“ – თუმცა ეს მხოლოდ წამიერი შთაბეჭდილებაა, რადგან გულით ის კვლავ სამშობლოში ბრუნდება. ლექსის ფინალში ავტორი აღიარებს ამ მარადიულ კავშირს: „სამშობლოვ მრავალყამიერ, დავკოცნი შენს მთის წვეროებს!“ – კოცნა აქ სიმბოლურად გამოხატავს მადლიერებას, ერთგულებასა და სულიერ აღიარებას.

შედეგად, ეს ლექსი ასახავს ემიგრანტის შინაგან დიალოგს სამშობლოსთან – სიყვარული, რომელიც არც დროით, არც მანძილით არ ქრება, არამედ „მრავალყამიერ“ გრძელდება, როგორც მარადიული სიმღერა სამშობლოსადმი.

კიდევ ერთ ლექსში „უძლეველო ქვეყანავ“ პოეტი სამშობლოს მიმართავს როგორც ცოცხალ და მტკივნეულ არსებას, რომელსაც მრავალი განსაცდელი გამოუვლია:

„ვაი ჩემო საქართველო,  
ვის ხელში არ გატარეს...“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 81)

ამ შესავლით იწყება ტკივილიანი აღიარება, სადაც სამშობლო ტანჯვისა და დაუნდობელი ისტორიის სიმბოლო ხდება. სიტყვა „ვაი“ გამოხატავს იმ ძლიერ ემოციურ მუხტს, რაც პოეტის გულში დაუნდობელ წარსულთან ასოცირდება.

შემდეგ სტრიქონებში პოეტი აღწერს ქვეყნის ღალატითა და ძალადობით გატანჯულობას:

„ყველა მტერი, მოღალატე  
გულზე გადაგატარეს!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 81)

აქ იგრძნობა არა მხოლოდ ისტორიული ტკივილია, არამედ პირადული, ემიგრანტის განცდა, რომ სამშობლოს ტკივილი მისი საკუთარი სულია. ლექსის შუა ნაწილი – „ზედ კალთები დაგახიეს, ჩამოგაჭრეს გვერდები“ – საქართველოს ბედი წარმოჩენილია სხეულად, რომელსაც აწამებენ. ეს სტრიქონები საქართველოს ფიზიკური დაშლილობის სიმბოლოა, რაც პოეტის თვალში უდიდეს ტრაგედიადა იქცევა.

ფინალური სურათი კი განსაკუთრებით ძლიერი და სიმბოლურია:

*„გვირგვინივით მოგახვიეს  
მავთულხლართის ეკლები!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 81)*

აქ ტანჯვა გადაიქცევა ღირსებად. პოეტი სამშობლოს ხედავს როგორც წამებულს, მაგრამ მაინც „გვირგვინმოსილს“ – თითქოს ყოველი ტკივილი მისი უკვდავების მტკიცებულებად იქცეს.

საბოლოოდ, ლექსი არის ემიგრანტის მღელვარე აღსარება – სიყვარულითა და ტკივილით გამთბარი პატრიოტული მონოლოგი, სადაც სამშობლოს ტანჯვა არა სისუსტის, არამედ უძლეველობის სიმბოლოა.

ემიგრანტული ლიტერატურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განზომილება ინდივიდუალური პრობლემებია. ეს გულისხმობს ადამიანის ფსიქოლოგიურ და ემოციურ კონფლიქტებს, რომელიც წარმოიქმნება ორ სამყაროს – სამშობლოსა და ახალ კულტურულ გარემოს შორის. ემიგრანტისთვის უცხო სივრცე ხშირად იქცევა გამოწვევად, სადაც საკუთარი „მე“-ს შენარჩუნება რთულდება. სწორედ აქ იწყება იდენტობის კრიზისი – ორმაგი ყოფნის ტვირთი, როცა ადამიანი ერთდროულად ეკუთვნის ორ სამყაროს და არც ერთში არ გრძნობს სრულ სიმშვიდეს.

ჩიქოვანის პოეზიაში ეს დილემა გამოკვეთილად ჩანს. ავტორი მუდმივად ეძებს საკუთარ თავს ორ რეალობას შორის. მისთვის სამშობლო შინაგანი საყრდენია, ემოციური ფესვი და კულტურული იდენტობის მთავარი ნაწილი. ლექსში „ემიგრანტი ვარ“ ეს განცდა სრულიად მკაფიოდ იკვეთება:

*„ემიგრანტი ვარ, გული ქართული –  
წერით და ხატვით მუდამ გართული,  
ქართული სისხლი ძარღვში გასული,  
ვერ დამავიწყეს ჩემი წარსული!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 45)*

ამ სტრიქონებში ხაზგასმულია ავტორის შინაგანი წინააღმდეგობა – სხეულით უცხო ქვეყანაშია, მაგრამ გულით მაინც საქართველოში რჩება. ემიგრანტი გმირი თითქოს ორ სამყაროს შორის მყოფი სუბიექტია, რომელსაც არ შეუძლია წარსულის დავიწყება, რადგან ის არის მისი იდენტობის საფუძველი. „გული ქართულია“ – ეს სიტყვები იქცევა პოეტური თვითდამტკიცების ფორმულად, რომელიც კულტურულ და ემოციურ ერთგულებას გამოხატავს.

ლექსის მეორე ნაწილში იკითხება ავტორის პირადი ტკივილი და საკუთარი მდგომარეობის განცდა:

*„ემიგრანტი ვარ გრძნობა ჩაკლული,  
ცხოვრებისაგან ცოტა ჩაგრული...  
ბევრჯერ ჩამოვკარ ჩემი ჩონგური,  
სიმი აკვნესდა მრავალტანჯული!  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 45)*

აქ ჩონგური ხდება ემიგრანტის სულიერი სიმბოლო – მისი ბგერა ტკივილისა და მონატრების მეტაფორად გვევლინება. ავტორი თავის ემოციებს არ მალავს, პირიქით, მათ აყალიბებს პოეტურ ფორმად, რაც ემიგრანტული ლექსის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს.

ემიგრანტის განცდა ორმაგია – იგი ერთდროულად დაკარგულია და მაინც მტკიცედ იცავს საკუთარ იდენტობას. ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობა ქმნის იმ სულიერ ტვირთს, რომელიც განსაზღვრავს ემიგრანტული პოეზიის ემოციურ სიღრმეს.

გაუცხოება და სულიერი ტრავმა ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებულად მწვავედ ვლინდება. უცხო კულტურულ სივრცეში მოხვედრილი ადამიანი ხშირად გრძნობს მარტოობასა

და ნადველს. ეს განცდა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური – იგი ტრანსფორმირდება კოლექტიურ ტკივილად, რომელიც მოიცავს ათასობით ქართველ ემიგრანტს.

ლექსი „მომიგონებთ ვინ ვიყავი“ სწორედ ამ განცდას გამოხატავს:

ყველა ბრძოლა დასრულდება,  
დასრულდება ჩემიც...  
საანაპიროს მიადგება  
ჩემი ბოლო გემი!...  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 31)

ლექსის სიმბოლური ფინალი („ჩემი ბოლო გემი“) ასახავს ემიგრანტის ცხოვრების ბოლოს, როგორც შინაგანი მოგზაურობის დასასრულს. ეს გემი აღარ ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ ის მაინც იქით არის მიმართული – ეს ნიშნავს, რომ ემიგრანტის ფიქრი, სული და მეხსიერება მუდამ სამშობლოსკენ არის მიბრუნებული.

ლექსის რეფრენი – „მომიგონებთ, ვინ ვიყავი“ – წარმოაჩენს ხსოვნის შიშს, დავიწყების ტრაგედიას, რომელიც ემიგრანტის ცნობიერებაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. ემიგრანტი თითქოს ორმაგ დავიწყებას განიცდის: უცხო მიწაზე იგი უცხოა, ხოლო სამშობლოში შესაძლოა, დავიწყებული იყოს.

ამავე ლექსის სხვა სტრიქონები კიდევ უფრო ამძაფრებს ემოციურ ტონალობას:

„პირზე ღიმი მუდამ ჰქონდა,  
არ ემჩნია დარდი...  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 31)

ეს სტრიქონები აჩვენებს ემიგრანტის შინაგან ნიდაბს – გარეგნული სიმტკიცე მალავს შინაგან ტკივილს.

ეს სიყვარული ხშირად გარდაიქმნება სამშობლოს სიყვარულად. ქალი, რომელიც თითქოს საყვარელ მამაკაცს ელოდება, სინამდვილეში ელოდება სამშობლოში დაბრუნების შანსს, რომელიც მუდმივად უიმედოდ ილუზიურად რჩება. ამიტომ ჩიქოვანის ემიგრანტული ლირიკა არ არის მხოლოდ რომანტიკული განცდების აღწერა – ეს არის არსებობის ტრაგედია, სადაც სიყვარული და სამშობლო ერთ მთლიან ემოციურ სტრუქტურად იქცევა.

„მოიტანეთ დამაყარეთ,  
ყვავილები გუნდად!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 31)

ამ სიმბოლურ ფინალში მკაფიოდ ჩანს ემიგრანტის სურვილი, რომ მისი არსებობა მაინც სიმბოლურად დაუბრუნდეს სამყაროს, მშობლიურ მიწას. ყვავილები აქ არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლოა – მას სურს დარჩეს სამშობლოს ნაწილად, თუნდაც მეხსიერების სივრცეში.

ლექსში „მომიგონებთ, ვინ ვიყავი“ პოეტი გვასწავლის, რომ ემიგრანტის ყველაზე დიდი შიში დავიწყებაა, მაგრამ ამავე დროს – სწორედ ხსოვნის სურვილია მისი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა. ჩიქოვანისთვის წერაა წინააღმდეგობა დავიწყების მიმართ; ყოველ სიტყვაში არის მცდელობა, რომ საკუთარი ხმა დარჩეს სამყაროში, თუნდაც სამშობლოდან შორს.

ჩიქოვანის პოეზიაში ემიგრანტი ქალი საბოლოოდ ხდება სამშობლოს სიმბოლო – ნაზი, მტანჯველი, მაგრამ ამაყი. მისი ტკივილი არა მხოლოდ ინდივიდუალურია, არამედ ეროვნული ტრავმის გაგრძელებაა, რომელიც ასახავს ქართველ ქალთა იმ ემოციურ გამოცდილებას, რაც საუკუნეების განმავლობაში თან სდევდა იძულებით გამგზავრებულთ.

ემიგრაციის თემატიკაში სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული განზომილებაა, რადგან ის იშლება არა მხოლოდ ფიზიკური დისტანციის, არამედ სულიერი დაშორების შედეგადაც.

ლია ჩიქოვანის პოეზიაში სიყვარულის დაკარგვა ემიგრანტის უმძაფრესი ტრავმის ნაწილია – აქ სიყვარულის ობიექტი ხშირად სამშობლოს ემთხვევა, ხოლო განცდა, რომელიც ერთ დროს ადამიანურ სიახლოვეს უკავშირდებოდა, ახლა მხოლოდ მეხსიერების ნაწილად რჩება.

ლექსი „გული გამითბე“ არის ემოციურად დატვირთული, სენტიმენტალური პოეტური ტექსტი, სადაც წამყვანი თემაა სიყვარული, სითბოსა და სულიერი ერთობის წყურვილი. ავტორი ქმნის დიალოგს საყვარელ ადამიანთან, რომელშიც მელანქოლია და ვნება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს.

ლექსის დასაწყისიდანვე იგრძნობა შინაგანი თხოვნა და სულიერი ტკივილი:

„გული გამითბე, საყვარელო, გამითბე გული,  
ვიდრე სითბო აქვს და არა ყინვადქცეული.“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 64)

ეს სტრიქონები გამოხატავს დროის წარმავლობის შეგრძნებას – გულის სითბო არის სიცოცხლის სიმბოლო, ხოლო „ყინვადქცევა“ – გრძნობის ჩაქრობისა და სიცოცხლის დასასრულის აღუზია. პოეტი თითქოს ევედრება სიყვარულს, სანამ ჯერ კიდევ *სუნთქავს: „ვიდრე დავდივარ მე ამ ქვეყნად სუნთქვაშეკრული“* (ჩიქოვანი, 2024, გვ. 64).

ამ ფრაზაში გაერთიანებულია სიცოცხლის დამაბულობა და სიყვარულისადმი დამოკიდებულება როგორც სასიცოცხლო ენერჯის წყაროსადმი. ხოლო შემდეგი სტრიქონები აძლიერებს ამ თავდადების მოტივს:

„მკვდარიც რომ ვიყო, მე შენს გამო ფეხზე დავდგები,  
შენი გულისთვის დავდნები და ცეცხლში ჩავდგები.“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 4)

აქ იგრძნობა კლასიკური რომანტიზმის ტონალობა – სიყვარული აღიქმება როგორც აღდგომის ძალა, როგორც ისეთივე ძლიერი გრძნობა, რომელიც სიკვდილსაც კი აჯობებს. ეს სტრიქონები გვახსენებს ტრადიციულ ქართულ პოეზიაში არსებულ თემას – *სიყვარული როგორც გმირობა და მსხვერპლი*.

ბოლო სტროფში ლექსი თითქოს თეატრალურ და სიმბოლურ სურათად იქცევა:

„მოდით ფანჯრებთან და მიმღერე მე სერენადა,  
ფარდის უკნიდან თვალს ჩაგიკრავს შენ ესმერალდა.“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 64)

აქ უკვე სიუჟეტი გვაგონებს შუა საუკუნეების რომანტიკულ სცენებს – სერენადას, ფანჯარასთან მოსულ შეყვარებულს, ფარდის მიღმა მდგარ ქალს. სახელი *ესმერალდა* მატებს ევროპულ ელფერს, მაგრამ ამავე დროს სიმბოლურად აღნიშნავს იდეალურ, მიუწვდომელ ქალს.

ლექსის დასასრულ, ავტორი გვიჩვენებს სიყვარულის აღტაცებით სავსე გაერთიანებას:

„მოდით, ძვირფასო, მოგაწოდო ღვინით ხელადა  
და ტრფობის ალში გავეხვევით ორნივე ხელადა.“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 64)

ღვინოსა და ალის სიმბოლიკა აქ ასახავს ტრფობის სიმაღლეს – სითბო და სიცოცხლის ენერჯია ერთ მთლიან ემოციურ იმპულსად იყრის თავს.

საბოლოოდ, ლექსი გამოხატავს სიყვარულის ძლიერ ემოციას, რომელიც დროისა და სიკვდილისა დამლევათ ცდილობს. პოეტი ქმნის სამყაროს, სადაც გრძნობა არის არსებობის მთავარი საფუძველი. მეტაფორები („გულის სიმები“, „ცეცხლში ჩავდგები“, „ტრფობის ალში“) ქმნის ინტენ-

სიურ, მუსიკალურად აჟღერებულ ატმოსფეროს. ეს არის სულის მონოლოგი სიყვარულის მიმართ, რომელიც ერთდროულად ითხოვს სიბოძს და თვითონაც ანათებს.

ლექსი „ვიცი, მოხვალ, ჩამიხუტებ!“ არის ნაზი, ემოციურად სავსე ტექსტი, რომელშიც ლოდინი, სიყვარული და ტრფობის ძალა მთავარ თემებად იქცევა. პოეტი ქმნის მოსვლისა და აღდგენის მოტივს – სიყვარულის დაბრუნებას, რომელსაც თან სდევს ბუნებრივი მოვლენების სიმბოლური პალიტრა.

ლექსის პირველი სტრიქონიდანვე ჩნდება სასოებისა და მოლოდინის განცდა:

„შენს ლოდინში ვითვლი წუთებს –  
ვიცი მოხვალ, ჩამიხუტებ.“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 92)

ეს ორი ხაზი თითქოს დროის ფარდას შლის: მოქმედება მიმდინარეობს ლოდინის სივრცეში, სადაც ყოველი წუთი გახანგრძლივებულია, მაგრამ იმედით სავსე. სიტყვა „ვიცი“ მოლოდინის რწმენად აქცევს – ეს არაა შიში ან ეჭვი, არამედ *დარწმუნებული მოლოდინი სიყვარულისა*.

შემდეგ სტროფში პოეტი იყენებს ბუნების პოეტურ ალეგორიებს:

„წვიმა გაჰყრის გულის „ქურდებს“,  
ჩვენი დრო კი დაიქუხებს!“  
(ჩიქოვანი, 2024, გვ. 92)

აქ *წვიმა* სიმბოლურად ნიშნავს განწმენდას – სევდის, ტკივილისა და ტანჯვის მოცილებას. „გულის ქურდები“ კი შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ტკივილისა და მარტოობის მეტაფორა. როცა „დაიქუხებს დრო“, იწყება გარდატეხა – სიყვარულის გაცოცხლების მომენტი.

ლექსი აღსავსეა პოზიტიური ემოციით, სიყვარულის რწმენითა და იმედით. იგი ქმნის დინამიკურ სურათს – *ლოდინიდან* გადადის *შეხვედრაში*, *წვიმიდან* – *მზეში*, *ბოლოს კი* – *თავისუფლებაში*. ბუნების ელემენტები („წვიმა“, „დაიქუხებს“, „მზე“, „თოვლი“) ემოციური სიმძაფრით ამლიერებენ გრძნობებს.

ამგვარად, ლექსი „ვიცი, მოვალ, ჩამიხუტებ!“ არის სიყვარულის გამარჯვების პოეზია, რომელიც სევდის ნაცვლად ენერგიას, რწმენასა და სიხარულს ასხივებს.

ღია ჩიქოვანის პოეზია წარმოადგენს თანამედროვე ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე გულწრფელ და ემოციურად დატვირთულ გამოვლინებას. ჩიქოვანი იმ მწერლების თაობას მიეკუთვნება, რომელთათვის სიტყვა იქცევა სამშობლოს გაგრძელებად – ენა ხდება შინაგანი სამშობლო, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, საკუთარ თავთან და საკუთარი იდენტობის ფესვებთან კავშირი არ დაკარგოს.

ემიგრანტული პოეზია ზოგადად – და ჩიქოვანის შემოქმედება განსაკუთრებით – წარმოგვიდგენს ლიტერატურულ სივრცეს, სადაც ტკივილი, მონატრება, სულიერი წინააღმდეგობა და იმედი ერთდროულად თანაარსებობენ. პოეტი ქმნის ტექსტებს, რომლებიც დოკუმენტურად არის და სიმბოლურად, რადგან თითოეული ლექსი შეიძლება წაიკითხო როგორც ერთ კონკრეტულ ემიგრანტის ბიოგრაფია, მაგრამ ამავე დროს – როგორც კოლექტიური ემოციური არქივი.

ჩიქოვანის ლექსებში სამშობლო ხან დედის სახით ჩნდება, ხან – ბავშვობის მოგონებად, ხან კი – როგორც გაუნღებელი ნატვრა, რომელიც ყოველწამიერად ახსენებს თავს. ეს სამშობლო არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი, არამედ ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, მეხსიერების მუდმივი წერტილი. მისი პოეზია ამგვარად იქცევა ერთგვარ ხიდად ორ სამყაროს შორის – იმ ქვეყნისა, რომელიც ემიგრანტმა დატოვა, და იმ სივრცისა, სადაც ახლა იმყოფება.

ემიგრანტული ლიტერატურა, როგორც კულტურული ფენომენი, დღეს უკვე წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ქართული იდენტობის გამოკვლევის პროცესისა. მასში აირეკლება არა მხოლოდ უცხოეთში მყოფი ქართველის განცდები, არამედ ის სულიერი ტკივილიც, რომელიც საქართველოს ისტორიულ ბედს თან ახლავს. ამიტომაც, ემიგრანტული პოეზია მხოლოდ ერთ ეპოქას-

თან დაკავშირებული მოვლენა კი არა, არამედ მუდმივი სულიერი მდგომარეობაა – ადამიანის შინაგანი დიალოგი საკუთარ წარსულთან და კულტურასთან.

ღია ჩიქოვანის პოეზია გვასწავლის, რომ ტკივილიც შეიძლება შემოქმედებად იქცეს, თუ მას სიტყვად გარდაქმნით. მისი თითოეული ლექსი ერთდროულად არის აღსარება და მოწოდება – რწმენა, რომ სამშობლოს სიყვარული არასდროს ქრება, ის მხოლოდ ფორმას იცვლის, მაგრამ არსს არ კარგავს. ასეთი ტექსტები სწორედ იმიტომ არის ფასეული, რომ ისინი გვახსენებენ იმას, რაც ყველაზე ძვირფასია – მეხსიერებას, სიწმინდესა და ადამიანურ სიბოძეს, რომელიც არ ცნობს საზღვრებს.

ამრიგად, ემიგრანტული პოეზია დღესაც რჩება ქართულ კულტურაში იმ ადგილად, სადაც სიტყვა სამშობლოდ იქცევა, ხოლო სამშობლო – სიტყვად.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ჩიქოვანი ლ. (2024). „მადლობა ღმერთო“, თბილისი: „ივერიონი“.

#### **References:**

Chikovani, L. (2024). Madloba Ghmerto. [Thank You, God]. Tbilisi: Iverioni Publishing House.